

რატომ არის თეოლოგია მთელ მსოფლიოში მეცნიერება, ხოლო რუსეთში - არა

რუსეთში „თეოლოგია,“ როგორც სამეცნიერო სპეციალობა, ყველა სხვა ქვეყნებზე გვიან გამოჩნდა (2015 წელს), ხოლო თეოლოგიაში საკანდიდატო დისერტაციის პირველი დაცვა მხოლოდ 2017 წლის 1 ივნისს შესრულდა. იმის შესახებ, თუ რატომ ექვემდებარება რუსეთში სამეცნიერო თეოლოგია კრიტიკას და ეს კრიტიკა ხშირად რატომ გახლავთ უჩვეულო, „პრავმირს“ ესაუბრა არქიმანდრიტი კირილე (პოვორუნი) - ღვთისმეტყველების კანდიდატი, ფილოსოფიის დოქტორი, სტოკჰოლმის თეოლოგიური სკოლის მასწავლებელი, კოლუმბიის უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკი.

რატომ არის თეოლოგია - მეცნიერება?

ღვთისმეტყველებაში ჩვენ განვასხვავებთ ღმერთის ცოდნას და ღმერთის შესახებ ცოდნას. პირველი მიიღება ღმერთთან ურთიერთობით მეორე პირში, ხოლო მეორე - სხვა ადამიანებთან ურთიერთობით, როდესაც ღმერთის შესახებ საუბრობენ მესამე პირში. საკუთრივ ღვთისმეტყველება ცოდნის მეორე სახედ ითვლება, რომელიც ეფუძნება პირველს და ამავედროულად ამოწმებს მას. ღმერთის არ ცოდნით, ღმერთის შესახებ ცოდნა ცარიელი ჰაერის ნაყვა გახლავთ, ხოლო ღმერთის ცოდნა, ღმერთის შესახებ არცოდნით ხშირად ღმერთის ცოდნის შერყვნას იწვევდა, რაც თავის მხრივ, საბოლოოდ ღმერთის შესახებ ცოდნასაც შერყვნის. ეს ხშირად ერესებს წარმოშობდა, რომლებიც არა მხოლოდ ლოგიკურ შეცდომებად ითვლებიან, არამედ წარმოადგენენ საფრთხეს, ქრისტიანის სულიერი განვითარებისათვის.

განსხვავება ღმერთის ცოდნასა და ღმერთის შესახებ ცოდნას შორის ნიშნავს იმას, რომ მართალია ღვთისმეტყველება ეფუძნება გამოცდილებას, თუმცა თვით ასეთ გამოცდილებად არ ვლინდება და გამოცდილება არ ენაცვლება მას. ამ განსხვავების იგნორირებას ორ შეცდომამდე მივყავართ: ისინი, ვინც მხოლოდ სულიერ გამოცდილებას აფასებენ, ღვთისმეტყველებას მის სიმულატორად (იმიტატორად) მიიჩნევენ, რაც თავად გამოცდილებისათვისაა საშიში. ისინი, ვისაც არ ესმით თუ რა არის სულიერი გამოცდილება, ღვთისმეტყველებას ცოდნის იმიტატორად მიიჩნევენ, რაც საშიშია ცოდნისათვის. ამ აბსოლუტურად განსხვავებულ ადამიანებს, რომელთაც უეჭველად შეგვიძლია უწოდოთ ფუნდამენტალისტები და სეკულარისტები, აერთიანებს ის, რომ ისინი ღვთისმეტყველებას საშიშად, ან მინიმუმ უსარგებლოდ მიიჩნევენ.

ამასობაში, მართალია ღვთისმეტყველება ღმერთთან თანაზიარების გამოცდილების ვერბალიზებას ახდენს, ამას აკეთებს იმავე გამომხატველობითი საშუალებებით, რომლებიც საკაცობრიო კულტურაში გამოიყენებიან, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ეს შეიძლება იყოს პოეზიის ენა- ლიტურგიაში, შეიძლება იყოს ფილოსოფიის ენა - საღვთისმეტყველო ტრაქტატებში. როდესაც ფილოსოფიის ენა გამოიყენება, იგი იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც ჰუმანიტარული მეცნიერების ენა. ამ გაგებით ღვთისმეტყველება გახლავთ მეცნიერება.

მეცნიერების როგორი ნიშან-თვისებები აქვს მას?

ჩვენ დროში მიღებულია, რომ მეცნიერება დაიყოს სამ

დარგად: ზუსტი, საზოგადო და ჰუმანიტარული მეცნიერებები. ისინი ერთმანეთისაგან საგნით და გამოძიების მეთოდებით განსხვავდებიან. ძალიან სქემატურად რომ ვისაუბროთ, ზუსტი მეცნიერებები შეისწავლიან მატერიალურ სამყაროს და ემყარებიან ექსპერიმენტს; საზოგადო მეცნიერებები შეისწავლიან ადამიანურ საზოგადოებებს და ეყრდნობიან სოციალურ საკითხებს; ჰუმანიტარული მეცნიერებების სფერო და მეთოდები უფრო ფართო და ბუნდოვანია. ჰუმანიტარული მეცნიერებები შეისწავლიან ადამიანის ფენომენს ფართო გაგებით. ეს ფენომენი შეიძლება სხვადასხვაგვარი სახის ანალიზსა და ინტელექტუალურ სპეკულაციებს განვუკუთვნოთ.

ღვთისმეტყველება ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროს განეკუთვნება, რადგანაც მის ფოკუსში ხდება ღმერთის აღქმა ადამიანის მიერ. ამ გაგებით, ღვთისმეტყველება განირჩევა გამოცხადებისაგან, თუმცა კი ემყარება მას. გამოცხადება არის ის, თუ როგორ ამჟღავნებს ღმერთი თავის თავს: მოძრაობა ზემოდან ქვემოთ. ღვთისმეტყველება განხლავთ გამოცხადების მიღება ადამიანის მიერ: მოძრაობა ქვემოდან ზემოთ. ღმერთი აცხადებს თავის თავს შეუქმნიელი საღვთო ხმების მეშვეობით, ხოლო ადამიანი შეიცნობს მათ აზრების სახით, რომელნიც ვლინდება კონვენციონალური, იგივე შექმნილი ადამიანური გონებით. მსგავს კონვენციონალურ აზრებს შეისწავლის ფილოსოფია და მთლიანობაში ჰუმანიტარული ცოდნა. ჰუმანიტარული ცოდნის ყველა ქვედანაყოფის მეთოდები, თეოლოგიასთან ერთად, გვანან ერთმანეთს.

როგორ მეთოდებს იყენებს იგი?

ეს მეთოდები სახეცვლილებას განიცდიდნენ ეპოქიდან ეპოქაში და განისაზღვრებოდნენ ყოველი დროის ფილოსოფიური მეინსტრიმით. ქრისტიანული ღვთისმეტყველების ოქროს საუკუნე - მეოთხე ათასწლეული აღინიშნებოდა ფილოსოფიური ტენდენციით - დახარისხებულიყო შემეცნების გამოცდილება. ეს დიალექტიკური მეთოდი ძირ-ფესვინად მიედინებოდა არისტოტელეს ფილოსოფიაში და სინთეზის საფუძველზე

განახლებულ იქნა პლატონიზმთან იმაში, რასაც ჩვენ დღეს ნეოპლატონიზმს უწოდებთ. კლასიკური არისტოტელიზმის ნეოპლატონური განახლება, დაახლოებით ქრისტიანული დოქტრინის ფორმირების ეპოქაში აღესრულა, რომელმაც გამოიყენა კიდევ ნეოპლატონიზმის ენა და მეთოდები. კაბადოკიელების ძირითად მეთოდს ღმერთთან მიმართებით, წარმოადგენდა დიალექტიკური მეთოდების გამოყენება, მაგ ისეთების, როგორებიცაა საერთო და კერძო, ასევე ფილოსოფიური სიმბოლოების ნასესხობა, ისეთები, როგორებიცაა არსი და ჰიპოსტასი. ეს გახლდათ ქრისტიანული სქოლასტიკის პირველი შემთხვევა. მე მესმის, რომ მამა გიორგი ფლოროვსკის იდეის შემდგომ, მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების დასავლური სქოლასტიკური ფსევდომორფოზის შესახებ, ჩვენთან მიღებულია, რომ სქოლასტიკას დიდი ეჭვით მოვეპყრათ, თუმცა სქოლასტიკა გამოგონილ იქნა არა დასავლეთში და არა შუა საუკუნეებში, არამედ აღმოსავლეთში, გვიანი ანტიკურობის პერიოდში. სქოლასტიკის ფორმალურ ნიშანს, კატეგორიების განსხვავების პროცედურა წარმოადგენს, რომელნიც წარმოებულნი არიან კატეგორიებისაგან და რომელნიც აღწერილია არისტოტელეს ტრაქტატში (კატეგორიები). აღმოსავლურ-მართლმადიდებლური კლასიკური ღვთისმეტყველება, რომელიც გახლდათ სქოლასტიკური ჯერ კიდევ IV საუკუნეში მაგრამ რომელმაც განსაკუთრებით გამოავლინა ეს თვისება მეექვსე ათასწლეულში, ეფუძნებოდა კატეგორიების ნეოპლატონურ ინტერპრეტაციას, პორფირეს შემოქმედებაში. „მისტიკურმა“ ღვთისმეტყველებამაც კი, როგორსაც ვხვდებით ფსევდო დიონისე არეოპაგელთან, ენითაც და გამოცდილებითაც გააქარწყლა ნეოპლატონიზმი - ამჯერად პროკლეს შემოქმედებაში.

საღვთისმეტყველო მეთოდებმა, რომელთაც გავრცელება ჰპოვეს გვიანი ანტიკურობის ეპოქაში, დაკარგეს აქტუალობა ჩვენს დროში. XX საუკუნეში მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების მთავარი, თუმცა არა ერთადერთი ფილოსოფიური ჩარჩო გახდა პერსონალიზმი: ღვთისმეტყველებმა ღმერთისა და ადამიანის

შესახებ წერა დაიწყეს პიროვნულობის გაგების თვალსაზრისით. ანტიკურობის ხანისათვის უცნობმა ამ კატეგორიამ, ჩაანაცვლა საზოგადო და კერძო არსის შესახებ არსებული ტრადიციული საღვთისმეტყველო კატეგორიები. ჩვენი დროის ფილოსოფიური ინსტრუმენტები უფრო მდიდარნი არიან, ვიდრე ანტიკურობის ან შუასაუკუნეების პერიოდის.

მაგ, მე, ჩემს წიგნებში ეკლესიის ფენომენის ანალიზისათვის, ტრადიციულ არისტოტელურ-პორფირისეულ დიალექტიკიდან გამოვიყენე ფენომენოლოგიის, ანალიტიკური ფილოსოფიის, სტრუქტურალიზმის და პოსტსტრუქტურალიზმის კატეგორიალური აპარატი. სხვა მეთოდების და ფილოსოფიური ენების გამოყენებაც შეიძლება. ამასთან ერთად, ჩემი შეხედულებით, თანამედროვე ღვთისმეტყველების წარმატებული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კრიტიკული ანალიზის მეთოდი, რომელიც მე ასევე გამოვიყენე ეკლესიის ადმინისტრაციული სტრუქტურების შესწავლისას.

რითი ჰგავს და რითი განსხვავდება სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებისაგან?

ღვთისმეტყველებისა და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებების მსგავსების შესახებ მე უკვე ვისაუბრე. შეიძლება დავამატოთ განსხვავებების შესახებ საუბარი. ღვთისმეტყველება გახლავთ ადამიანის სიტყვა ღმერთის შესახებ. იგი შეუძლებელია ღმერთის გარეშე, მაშინ როდესაც სხვა ჰუმანიტარული შემეცნებები შესაძლებელია ღმერთის გარეშე. თუმცა ისინი ხშირადაც კი საუბრობენ ღმერთის შესახებ - მაგ, ბახის ან დოსტოევსკის შემოქმედების შესწავლისას.

რომელი ძირითადი პრეტენზიები არსებობს თეოლოგიასთან მიმართებით და როგორია მათზე პასუხები?

ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ არ შეიძლება თეოლოგია მეცნიერებად მივიჩნიოთ, რადგან იგი ღმერთის შესახებაა, რომლისაც ყველას არა სწამს და თუკი სწამთ, ეს მაინც სუბიექტური გამოცდილებაა. თუმცა, მაშინ არ შეიძლება მაგ, პროკლეს ფილოსოფიის შესწავლა მეცნიერულად, რომლის მისტიკაც არანაკლებ სუბიექტურია, ვიდრე ფსევდო - დიონისესი. თუკი უნივერსიტეტებში არ შეიძლება ბიბლიის შესწავლა, მაშინ მით უფრო არ შეიძლება ანტიკური სამყაროს „ბიბლიური“ წიგნების - „ილიადას“ და „ოდისეას“ შესწავლა, რომელთა ინტერპრეტაციაც წარმოადგენს ადამიანისა და ღმერთების ურთიერთობას, რომლებისაც სწამდათ ანტიკურ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებს და რომელებისაც ალარავის აღარ სწამს ახლა.

რუსეთში რატომ ექვემდებარება კრიტიკას თეოლოგიის მეცნიერულობა?

იმიტომ, რომ რუსეთში, ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ძალიან სუსტად იქნა გავრცელებული ჰუმანიტარული ცოდნა. საბჭოურ პერიოდში ნამდვილ მეცნიერებად, მხოლოდ ზუსტი მეცნიერება ითვლებოდა და მან ჩაანაცვლა ის წარმოსახვა, რომელიც ჰუმანიტარულ ცოდნად იწოდებოდა. თავისთავად ეს ცუდი არაა, რადგან ზუსტი მეცნიერებები გარკვეულ ბარიერებს წარმოადგენდნენ იდეოლოგიის გავრცელების გზაზე, გარდა ამისა, ისინი უკეთესად ადისციპლინირებენ აზროვნებას.

თუმცა ამას თავისი არამთავარი ეფექტიც გააჩნია - პირობითი ფიზიკის მეცნიერების კრიტერიუმების განზოგადება პოსტ-საბჭოურ კონტექსტში, ძველებურად მიღებულია უპირობო ლირიკის მეცნიერების კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ამაში გახლავთ ფიზიკოსთა სერიოზული ლოგიკური შეცდომა. რადგან ჭეშმარიტების კრიტერიუმები ზუსტ მეცნიერებაში და სწორედ ცოდნის მაქსიმალური ობიექტიზაცია ექსპერიმენტის საფუძველზე, არ მუშაობენ ჰუმანიტარულ ცოდნაში. ისინი არც თავად მეცნიერებაში მუშაობენ ყოველთვის, როგორც კვანტური მექანიკის

შემთხვევაში, რომელსაც მაგალითად არ შეუძლია ექსპერიმენტის დამკვირვებლის სუბიექტურობა გამორიცხოს. ღვთისმეტყველებს ერთი ნუგეში გააჩნიათ, მათ შეუძლიათ ფიზიკის იგივე პრეტენზიები წაუყენონ როგორც სოციალურ, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში რატომ ცხოვრობენ მშვიდად თეოლოგიით და რატომ იცავენ თავს ამ სფეროში?

იმიტომ, რომ დასავლეთში და რუსეთში განსხვავებულად წარმოიშვნენ უნივერსიტეტები. დასავლეთში უნივერსიტეტები წარმოიშვნენ, როგორც თეოლოგიური სკოლები. მაგალითად, ოქსფორდის თეოლოგიური ფაკულტეტი, უძველესია ამ სასწავლო დაწესებულებაში. ხოლო ჰარვარდი, იელი და პრინსტონი თავდაპირველად საერთოდ სემინარიები იყო, თანაც ფუნდამენტალისტურები. თანამედროვე მოსკოვის სასულიერო სემინარია XVIII საუკუნის ჰარვარდთან შედარებით, როგორც ლიბერალიზმის ფორპოსტი, ისე გამოიყურება. რუსეთშივე თეოლოგია თავიდანვე გამოყოფილი იყო უნივერსიტეტისაგან, მისთვის განსაკუთრებული საგანმანათლებლო სისტემა შეიქმნა, რომელიც თავის თავში საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, სასულიერო სასწავლებელს, სემინარიებს და აკადემიებს მოიცავდა. ეს სისტემა რუსული საზოგადოების წოდებრივ სტრუქტურას შეესაბამებოდა იმპერიის პერიოდში და განკუთვნილი იყო სასულიერო წოდებისათვის. როდესაც 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, დამხობილ იქნა წოდებრივობა, სასულიერო განათლება ძველებურად გეტოში დარჩა, ახლა უკვე ოფიციალურად გამოცხადებული ათეიზმის გამო. სწორედ ღვთისმეტყველების ამ სტატუსის გაგრძელება სურთ დღეს.

როგორც დასავლეთში, ღვთისმეტყველება ინერციით რჩება უნივერსიტეტის ნაწილად, თუმცა მრავალი ინტელექტუალი ოცნებობდა, რომ განედევნა ღვთისმეტყველება იქიდან, ისე რუსეთში ღვთისმეტყველება

ინერციით რჩება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. ისინი, ვინც უნივერსიტეტში თეოლოგიის არსებობის წინააღმდეგ გამოდიან, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, წარსულით ცხოვრობენ.

რა არ არის საკმარისი რუსეთში, რომ ეს ასე იყოს?

რუსეთი ვერ წყვეტს თვალს თავის იმპერიულ და პოსტსაბჭოურ წარსულს და არ შეუძლია მომავლისკენ გაიხედოს.

წყარო- <http://www.pravmir.ru/te-kto-vyistupaet-protiv-teologii-zhivut-proshlyim1/>

წმ. გრიგოლ პალამას ღვთისმეტყველების ცენტრისთვის რუსულიდან თარგმნა იოანე (ვანო) შოშიაშვილმა.

<https://goo.gl/MV8nw9>